

სტრასბურგი, 2014 წლის 14 ოქტომბერი

დასკვნა № 775/2014

ევროპული კომისია კანონის მეშვეობით დემოკრატიისათვის  
(ვენეციის კომისია)

ვენეციის კომისიისა  
და  
ევროპის საბჭოს  
ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის  
გენერალური დირექტორატის (DGI)  
ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DHR)

ერთობლივი დასკვნა

საქართველოს

ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის და სამოქალაქო საპროცესო  
კოდექსებში ცვლილებების შეტანის თაობაზე  
კანონის პროექტების შესახებ

მიღებულია ვენეციის კომისიის მიერ  
მე-100 პლენარულ სესიაზე  
(რომი, 2014 წლის 10-11 ოქტომბერი)

შემდეგი პირების კომენტარების საფუძველზე:

ბატონი პიტერ ვან დეიკი (ექსპერტი, ყოფილი წევრი, ნიდერლანდები)  
ბატონი გრეგორ ბორკოვსკი (DHR-ის ექსპერტი, პოლონეთი)

## სარჩევი

I. შესავალი.....	3
II. წინასიტყვაობა.....	4
III. ზოგადი დაკვირვებების შედეგები.....	6
IV. ანალიზი.....	9
A. საკასაციო საჩივრების დასაშვებობის კრიტერიუმები .....	10
B. საკასაციო საჩივრების დასაშვებობის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს შესახებ არსებული დებულებების ბუნდოვანება.....	16
C. დაუშვებლობის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება.....	18
D. სხვა საკითხები.....	20
V. დასკვნა .....	21

## I. შესავალი

1. 2014 წლის 14 მაისით დათარიღებულ წერილში საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ევროპის საბჭოს მიმართა თხოვნით, დაეფიქსირებინა მოსაზრება საქართველოს ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონის პროექტის შესახებ.

2. პიტერ ვან დეიკი, ნიდერლანდები, ყოფილი წევრი და კომისიის ექსპერტი, მოქმედებდა ვენეციის კომისიის მომხსენებლის სახელით.

3. გრეგორ ბორკოვსკიმ, პოლონეთი, ანალიზი გაუკეთა ცვლილებების პროექტს ადამიანის უფლებათა დირექტორატის დავალებით (შემდგომ – „დირექტორატი“ ან „DHR“).

4. 2014 წლის 30 ივნისსა და 1 ივლისს ვენეციის კომისიის დელეგაცია, ქალბატონი სლავიცა ბანიჩის (ყოფილი მონაცვლე წევრი, ხორვატია), ბატონი ზია ცაგა ტენიარის (სამდივნოს წარმომადგენელი), DHR-ის ექსპერტი გრეგორ ბორკოვსკის (პოლონეთი) და ბატონი რენე ვერშურის (ჰოლანდია) შემადგენლობით, ეწვია საქართველოს და გამართა შეხვედრები იუსტიციის მინისტრის მოადგილესთან, საქართველოს პარლამენტისა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრებთან, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან, მოსამართლეთა ასოციაციის წევრებთან და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან სამ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც მოიცავდა: საპროცესო კანონმდებლობაში ცვლილებების პროექტს არსებული მოსაზრებებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის ცვლილებების პროექტს. ვენეციის კომისია და DHR მაძლიერებს გამოხატავენ ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ხელისუფლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების შესანიშნავი თანამშრომლობისათვის.

5. დასკვნა მხედველობაში იღებს შეხვედრების დროს გამოთქმულ მოსაზრებებს საპროცესო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პროექტის შესახებ.

6. მოგვიანებით, ვენეციის კომისიაში გაიგზავნა „განმარტებითი ბარათი“, რომელიც მოიცავდა განმარტებებს, თუ რა მიზანს ემსახურებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანა.

7. დასკვნა დაფუძნებულია საქართველოს წარმომადგენლების მიერ შემუშავებულ ცვლილებების ინგლისურენოვან ტექსტზე და შესაძლო გაუგებრობები გამოწვეული იქნება მთარგმნელობითი ხარვეზებით.

8. ვენეციის კომისიისა და დირექტორატის ერთობლივი დასკვნა მომზადდა ზემოაღნიშნული ექსპერტების მითითებების საფუძველზე და მიღებული იქნა ვენეციის კომისიის მიერ მე-100 პლენარულ სხდომაზე, რომში (2014 წლის 10-11 ოქტომბერი).

## II. წინასიტყვაობა

9. სამი შესაბამისი საპროცესო კოდექსისთვის ინიცირებული ცვლილებები შეეხება გასაჩივრების ნებართვის სისტემას და *certiorari*-ს საკასაციო საჩივრის კონტექსტში, რომელიც შეტანილ იქნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. მოქმედი კოდექსი უკვე გვთავაზობს ასეთ სისტემას, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-მუხლის მე-5 ნაწილით და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

10. განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ წარმოდგენილი პროექტი საკასაციო სამართალწარმოებაში ინარჩუნებს არსებულ მიდგომას უზენაესი სასამართლოს როლის მიმართ, რომელიც მიიჩნევა ზემდგომ სასამართლოდ და იხილავს მხოლოდ მნიშვნელოვან საქმეებს. თუმცა, ამავე ბარათის მიხედვით, „სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს (*sic*), რომ არსებული დასაშვებობის კრიტერიუმები ზედმეტად ზღუდავს კასაციის ხელმისაწვდომობას“ და რომ ცვლილებების პროექტი მიზნად ისახავს საკასაციო საჩივრების დასაშვებობის კრიტერიუმის „გაფართოებასა და დახვეწას“ იმისათვის, რომ „უზრუნველყოს მართლმსაჯულების ხარისხის გაზრდა და შექმნას დამატებითი გარანტიები ადამიანის უფლებათა დასაცავად“.

11. ყველაზე მნიშვნელოვანი წინსვლა საკასაციო საჩივრების დასაშვებობის კრიტერიუმის გაფართოების თვალსაზრისით, რომელიც საერთოა სამივე ცვლილებების პროექტისათვის, არის საკასაციო საჩივრის შესაძლებლობის გათვალისწინება იმ საქმეში, როდესაც „სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებას, რომლის მონაწილე მხარეც იყო საქართველო.“<sup>1</sup> (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის პროექტი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის პროექტი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის პროექტი).

<sup>1</sup> იხილეთ, წარმოდგენილი დასკვნის „ა“ ნაწილის მე-3 პუნქტში არსებული შენიშვნები.

12. დასაშვებობის კრიტერიუმის დახვეწის თვალსაზრისით კანონის პროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვან ცვლილებებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, რომლებიც ამჟამად პირდაპირ მოიცავს დასაშვებობის იმავე კრიტერიუმს, კანონის პროექტით კი ამოღებულია „ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების“ კრიტერიუმი და „სამართლის განვითარებას“ ემატება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კიდევ ორი ახალი კრიტერიუმი (ცვლილებების პროექტით სამივე კოდექსში ზემოაღნიშნულის ერთნაირი ფორმულირებაა მოცემული): „(1) საქართველოს უზენაეს სასამართლოს არასოდეს არ განუხილავს ანალოგიური ან არსებითად იმავე ფაქტების შემცველი საქმე და (2) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიაჩნია, რომ მას შემდეგ, რაც განხილულ იქნება აღნიშნული საკასაციო საჩივარი, უზენაესმა სასამართლომ შესაძლოა მის მიერ განხილულ საქმეებზე, რომლებიც შეიცავდა ანალოგიურ ან არსებითად ანალოგიურ ფაქტებს, გამოიტანოს განსხვავებული გადაწყვეტილებები;“<sup>2</sup>.

13. გარდა ამისა, დასაშვებობის კრიტერიუმი ამჟამად მოიცავს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების უზენაესი სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან შესაბამისობის დადგენას, კერძოდ, „სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან,“ რაც პროექტის მიხედვით ჩამოყალიბებულ იქნება განსხვავებული ფორმულირებით. ცვლილებების პროექტის თანახმად, საქმე დასაშვებია, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება უზენაესი სასამართლოს ყველაზე ბოლო გადაწყვეტილებისგან (და არა არსებული პრაქტიკისგან) იმ საქმეებზე, რომლებიც შეიცავს ანალოგიურ ან არსებითად მსგავს ფაქტებს<sup>3</sup> (რაც საპროცესო კოდექსების მოქმედ ვერსიებში ცვლის ფრაზას – „მსგავსი კატეგორიის საქმეები“).

14. დაბოლოს, კანონპროექტის ცვლილებების თანახმად, სამი საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმი, კერძოდ: „სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი

<sup>2</sup> საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ცვლილების შესახებ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილების შესახებ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილების შესახებ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>3</sup> ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის პროექტი; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის პროექტი; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

ან პროცედურული დარღვევებით, რომლებსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის შედეგზე“ – ფორმულირებული იქნება შემდეგნაირად: „...მნიშვნელოვანი სამართლებრივი და პროცედურული დარღვევებით განიხილა, რასაც, მოცემულ საქმეში, შეეძლო მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინა მართლმსაჯულების შედეგებისთვის“ – აღნიშნული ცვლილება, როგორც ჩანს, არ არის არსებითი, თუმცა მიზნად ისახავს დებულებების ფორმულირების გაუმჯობესებას.

### III. ზოგადი დაკვირვებების შედეგები

15. საქართველოს უზენაესი სასამართლო, როდესაც განიხილავს საკასაციო საჩივარს, წარმოადგენს მესამე ინსტანციის სასამართლო დაცვის საშუალებას, რომლისთვისაც საჩივრით მიმართვა შესაძლებელია მხოლოდ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს შემდეგ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (შემდგომ – ევროპული კონვენცია ან ECHR) არ ადგენს სააპელაციო სასამართლოსათვის მიმართვის ზოგად უფლებას ან სასამართლო გადაწყვეტილების წინააღმდეგ საჩივრის შეტანის სახით სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლებას და განსაზღვრავს მხოლოდ საკასაციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომ – ევროპული სასამართლო ან ECtHR) მიერ განხილულ ბელგიის ლინგვისტურ საქმეში<sup>4</sup> მოცემული, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-6 მუხლი არ ავალდებულებს სახელმწიფოებს, ჩამოაყალიბონ სააპელაციო სასამართლოების სისტემა. უმაღლესი სასამართლოსათვის მიმართვის უფლება არ არის გაწერილი და ასევე არ იგულისხმება მე-6 მუხლში<sup>5</sup>. შედეგად, სახელმწიფო, რომელმაც შექმნა ასეთი სასამართლოები, სცილდება მის ამ მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.<sup>6</sup>

16. ECHR-ის მე-7 ოქმის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს, რომ ყველას, ვინც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, უნდა ჰქონდეს მისი მსჯავრის ან სასჯელის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადასინჯვის უფლება, თუმცა ეს დებულება ადგენს მეორე ინსტანციის, და არა მესამე ინსტანციის, სასამართლო განხილვის გარანტიებს.

<sup>4</sup> ECtHR, საქმე, რომელიც „ეხება ბელგიაში განათლების სისტემაში ენების გამოყენების შესახებ კანონების ცალკეულ ასპექტებს“ ბელგიის წინააღმდეგ, 1968 წლის 23 ივლისი, § 9 (კანონი). იხილეთ ასევე სიალკოვსკა პოლონეთის წინააღმდეგ, № 8932/05, 2007 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება.

<sup>5</sup> პიტერ ვან დეიკი, სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება (მუხლი 6) (1-4 ნაწილები), პიტერ ვან დეიკი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თეორია და პრაქტიკა, მეოთხე გამოცემა, 2006, გვ. 564; ქრისტოფერ გრაბენვარტერი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, კომენტარი, 2014, გვ. 132.

<sup>6</sup> ბელგიის ლინგვისტური საქმე, § 9 (სამართალი).

17. თუმცა ECtHR-ის პრეცედენტული სამართლის თანახმად, თუ შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებს გასაჩივრების უფლებას და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ხდება სამოქალაქო უფლების ან ვალდებულების ან სისხლისსამართლებრივი მსჯავრის „განსაზღვრა“, ECHR-ის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გაგებით, გამოიყენება სამართლიანი სასამართლოს აღნუნულ პუნქტში მოცემული ან ECtHR-ის მიერ მასში ამოკითხული პირობები<sup>7</sup>.

18. შედეგების მთელი რიგი გამომდინარეობს მე-6 მუხლის გამოყენებიდან სააპელაციო თუ საკასაციო სამართალწარმოებაში; კერძოდ, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებთან წვდომა არ უნდა იზღუდებოდეს შინაარსობრივად ან არაპროპორციული გზით<sup>8</sup>. შეზღუდვა, ასევე, არ უნდა იყოს დისკრიმინაციული ხასიათის, რადგან ეს გაუტოლდება ECHR-ის მე-14 მუხლთან კავშირში მე-6 მუხლისა და ECHR-ის მე-12 ოქმის პირველი მუხლის დარღვევას<sup>9</sup>.

19. მე-6 მუხლი სახელმწიფოებს არ უზღუდავს შესაძლებლობას, ჩამოაყალიბონ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოებისათვის მიმართვის წესები, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებული შეზღუდვები უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, როგორცაა მართლმსაჯულების სათანადო ადმინისტრირება, და უნდა იყოს პროპორციული. საკასაციო თუ სააპელაციო სასამართლოების ხელმისაწვდომობის შეზღუდვების პროპორციულობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შესაბამისი სააპელაციო თუ საკასაციო სამართალწარმოების ბუნება და აღნიშნული ინსტანციის სასამართლოების როლი შიდა სამართლებრივ წესრიგში. ECtHR-მა მიიღო არგუმენტი, რომ საფრანგეთის სამართლებრივ სისტემაში საკასაციო სასამართლოს როლის სპეციალური ბუნების გათვალისწინებით, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ სამართლის გამოყენების სისწორის შეფასებით, საკასაციო სასამართლოში დამკვიდრებული პროცედურა შეიძლება იყოს უფრო ფორმალური<sup>10</sup>, ხოლო ესპანეთის კონტექსტში კი ის, რომ სამართლის საკითხებთან დაკავშირებით საჩივრის დასაშვებობის პირობები შეიძლება უფრო მკაცრი იყოს, ვიდრე ჩვეულებრივი საჩივრის შემთხვევაში<sup>11</sup>.

<sup>7</sup> იხილეთ, მაგალითად, ECtHR, პოიტრიმოლი საფრანგეთის წინააღმდეგ, № 14032/88, 1993 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია A, № 277-A, §§ 13-15.

<sup>8</sup> პოიტრიმოლი საფრანგეთის წინააღმდეგ, §§ 35-38.

<sup>9</sup> ECtHR, ჰოფმანი გერმანიის წინააღმდეგ, № 34045/96, 2001 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება, § 66.

<sup>10</sup> ECtHR, ლევაგესანგარიის მომსახურება საფრანგეთის წინააღმდეგ, № 21920/93, 1996 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილება, § 48.

<sup>11</sup> ECtHR, ბრუალა გომეზ დე ლა ტორე ესპანეთის წინააღმდეგ, № 26737/95, 1997 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება, §§ 34-39.

20. ანალოგიურად, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის № R(95) 5 (რომელიც ეხება სამოქალაქო და კომერციულ საქმეებში გასაჩივრების სისტემებისა და პროცედურების ფუნქციონირების გათვალისწინებასა და გაუმჯობესებას<sup>12</sup>) მე-7 მუხლის „გ“ ნაწილის შესაბამისად, მესამე ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრება უნდა იქნეს გამოყენებული, კერძოდ, იმ საქმეებში, რომლებიც მოითხოვს მესამე სამოსამართლო გადახედვას, მაგალითად, საქმეები, რომლებმაც შეიძლება განავითაროს სამართალი ან რომლებმაც შეიძლება წვლილი შეიტანოს სამართლის ერთიან განმარტებაში. ხსენებული საჩივრები შეიძლება შეზღუდული იყოს იმ საქმეების საჩივრებით, რომლებიც ეხება საერთო საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე სამართლის საკითხებს. მაშინ, მომჩივანს უნდა მოეთხოვოს, დაასახელოს მიზეზები, თუ რატომ ემსახურება საქმე ასეთ მიზნებს.

21. თუ სახელმწიფო დაადგენს საკასაციო მიმართვას, მაშინ საკასაციო სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა უნდა დაექვემდებაროს უფრო მკაცრ შეზღუდვებს, თუმცა აღნიშნულით არ უნდა შეიზღუდოს ან შემცირდეს ინდივიდის უფლება და არ უნდა მოხდეს აღნიშნული ინსტიტუტისათვის მიმართვის გაუფასურება. სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა უნდა იყოს არა თეორიული ან ილუზიური, არამედ პრაქტიკული და ეფექტური.<sup>13</sup>

22. ამ კონტექსტში, ვენეციის კომისია და დირექტორატი კიდევ ერთხელ აღნიშნავენ, რომ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის ეფექტიანი უფლება ასევე გულისხმობს „შეთანხმებული სისტემის“ არსებობას, რომელიც არეგულირებს სასამართლოებისადმი მიმართვას, რაც თავის მოთხოვნებში საკმარისად ცხადი უნდა იყოს, რათა მომჩივნებს ჰქონდეთ „ნათელი, პრაქტიკული და ეფექტიანი“ შესაძლებლობა, მიმართონ სასამართლოს<sup>14</sup>. დე ჟუფრე დე ლა პრადელეს (De Geouffre de la Pradelle) საქმეში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თუ კანონი, რომელიც არეგულირებს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას, ისეთი რთული და გაუგებარია, რომ ქმნის სამართლებრივ გაუგებრობას, არ შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა არის ეფექტიანი<sup>15</sup>. ამდენად, მთელ რიგ შემთხვევებში,

<sup>12</sup> რეკომენდაცია № R(95) 5, რომელიც ეხება სამოქალაქო და კომერციულ საქმეებში გასაჩივრების სისტემებისა და პროცედურების ფუნქციონირების გათვალისწინებასა და გაუმჯობესებას, მინისტრთა კომიტეტის მიერ 1995 წლის 7 თებერვალს მიღებული.

<sup>13</sup> პიტერ ვან დეიკი, გვ. 560.

<sup>14</sup> დ.ჯ. ჰარისი, მ. ოზოილი, ე.პ. ბეიტსი, ს.მ. ბაქლი, *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალი*, 2009, გვ. 238.

<sup>15</sup> ECtHR, De Geouffre de la Pradelle საფრანგეთის წინააღმდეგ, № 12964/87, 1992 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, §§ 33-34, იხილე, პიტერ ვან დეიკი, გვ. 562.



პროცედურული ნორმების სიციხადის არარსებობის გამო<sup>16</sup>, რამაც მომჩივანს აღუკვეთა შესაძლებლობა, ნათლად გაეგო ის მოთხოვნები, რომლებიც მის საჩივარზე ვრცელდებოდა<sup>17</sup>, ასევე, პროცედურული წესების ნათელი და თანამიმდევრული სამართლებრივი განმარტების<sup>18</sup> ან გაუგებრობის წინააღმდეგ დაცვის საშუალებების არარსებობის<sup>19</sup> გამო ECtHR-მა დაადგინა განმცხადებლების სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა. უფრო კონკრეტულად, რაც შეეხება წესებს, რომლებიც ეხება გასაჩივრებისათვის დასაშვებობის კრიტერიუმს, ECtHR-მა საქმეში – „სანტოს პინტო პორტუგალიის წინააღმდეგ“ – მიიჩნია, რომ ხსენებული წესები საკმარისად შეთანხმებული და ნათელი უნდა იყოს, რათა დაკმაყოფილდეს სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი<sup>20</sup>.

#### IV. ანალიზი

23. ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ცვლილებების ძირითადი ნაწილი დაკავშირებულია საკასაციო წესით გასაჩივრებასთან და არის ერთი და იმავე ხასიათისა და ფორმულირების, მათ მიმართ კომენტარები ერთდროულად გაკეთდება.

24. ვენეციის კომისია და დირექტორატი თავიდანვე შენიშნავენ, რომ ცვლილებების შესახებ კანონპროექტების (ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის) 1-ბ (ა)-დან (დ) ნაწილებამდე საქმეების ოთხივე ზემოხსენებული კატეგორიები შეიცავს დასაშვებობის შედარებით ფართო და ბუნდოვან კრიტერიუმს და შედეგად, ასევე, დაუშვებლობის კრიტერიუმს (ა). შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ საქმის თავდაპირველ განხილვას და/ან იღებენ გადაწყვეტილებას, დასაშვებობის კრიტერიუმში დაკმაყოფილებულია თუ არა, ნათლად იყოს მითითებული კანონმდებლობაში (ბ) და რომ მათი გადაწყვეტილებები იყოს დასაბუთებული, თუ რომელი საფუძვლ(ებ)ით იქნა დაუშვებლად მიჩნეული საჩივარი (გ). სხვა ცვლილებებთან დაკავშირებული შენიშვნები შემდეგში იქნება მოცემული (დ).

<sup>16</sup> ECtHR, ქოემე და სხვები (*Coëme and others*) ბელგიის წინააღმდეგ, №№ 32492/96, 32547/96, 32548/96, 33209/96 და 33210/96, 2000 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება, § 101-103; გალსტიანი სომხეთის წინააღმდეგ, № 26986/03, 2007 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, § 126.

<sup>17</sup> ECtHR, ჰაჯიევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ, № 5548/03, 2006 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება, § 39.

<sup>18</sup> ECtHR, აეპი სა საბერძნეთის (AEPi SA) წინააღმდეგ, № 48679/99, 2002 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება, § 27; სანტოს პინტო პორტუგალიის წინააღმდეგ, № 39005/04, 2008 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, §§ 41-43.

<sup>19</sup> ECtHR, ჰაჯიევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ, § 46.

<sup>20</sup> §§ 39 და 42.

### A. საკასაციო საჩივრების დასაშვებობის კრიტერიუმები

25. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის (მე-3 ნაწილის) „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები, რომლებიც ამჟამად ძალაშია, შეიცავს ერთი და იმავე დასაშვებობის კრიტერიუმებს. ახალი კანონპროექტის თანახმად, სამივე საპროცესო კოდექსში მათი ჩანაცვლება ხდება აბსოლუტურად ერთი და იმავე ფორმულირების დებულებებით<sup>21</sup>.

26. ვენეციის კომისია და დირექტორატი აღნიშნავენ, რომ, ფაქტობრივად, განსახილველ სამართლებრივ წესრიგში, მომჩივანის, რომელმაც წარადგინა საკასაციო საჩივარი, საქმე უკვე განიხილეს ადმინისტრაციულმა, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის სასამართლოებმა ორ ინსტანციაში. საკასაციო სამართალწარმოებას აქვს კანონის განვითარების, კანონის გამოყენების ერთგვაროვნების, კანონის დაცვის და ECtHR-ის პრეცედენტული სამართლის გამოყენების უპირატესი მიზანი შიდა სამართლებრივი წესრიგის განხორციელებისას. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ზემოაღნიშნული რეკომენდაციის №R(95)5 მხედველობაში მიღების საფუძველზე, ვენეციის კომისია და დირექტორატი მიიჩნევენ, რომ შემოთავაზებული ცვლილებების პროექტი საკასაციო საჩივრების დასაშვებობის შეზღუდვის კუთხით, იმ შემთხვევაში, თუ ის იქნება გამოყენებული დასაბუთებულად და თანასწორობის დაცვით, *in abstracto* აკმაყოფილებს პროპორციულობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნებს.

27. თუმცა, სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის მხედველობაში მიღებით, რომელიც საკასაციო საჩივრების მარეგულირებელ პროცედურულ წესებს, მათ შორის, დასაშვებობის კრიტერიუმს, ეხება (იხილე, ზემოთ, §22), ვენეციის კომისია და დირექტორატი ხაზს უსვამენ ცვლილებების შესახებ კანონის პროექტში დასაშვებობის კრიტერიუმის ორაზროვნებასა და ბუნდოვან ფორმულირებას.

1. (a). „საქართველოს უზენაეს სასამართლოს არასოდეს არ განუხილავს ანალოგიური ან არსებითად მსგავსი ფაქტების შემცველი საქმე“;

(b) „საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიაჩნია, რომ მას შემდეგ, რაც მოცემულ საქმეში გადაიხედება საკასაციო საჩივრის დასაშვებობა, სავარაუდოა, რომ იგი გამოიტანს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც განსხვავებული იქნება იმ

<sup>21</sup> იხილე, CDL-REF(2014)23.

**გადაწყვეტილებ(ებ)ისგან, რომელიც მან – საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა ანალოგიურ ან არსებითად მსგავსი ფაქტების შემცველ საქმე(ებ)ზე“<sup>22</sup>.**

28. უპირველეს ყოვლისა, დებულება „ანალოგიური ან არსებითად მსგავსი ფაქტების შემცველი საქმე“ ბუნდოვანია და იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას. სამომავლოდ, უზენაესმა სასამართლომ უნდა დააწესოს მკაფიო კრიტერიუმი იმის დასადგენად, თუ რა მოიაზრება „ანალოგიურ“ ან „მსგავს“ ფაქტებში ყოველი საქმის კონკრეტული გარემოებების მხედველობაში მიღების საფუძველზე. შესაბამისად, მოთხოვნილი სიცხადე სამომავლო საქმეებიდან იქნება გამოვლენილი<sup>23</sup>.

29. მეორე მხრივ, ვენეციის კომისია და დირექტორატი ხაზს უსვამენ, რომ აღნიშნული დებულების „ბ“ ქვეპუნქტი არ იძლევა რაიმე კონკრეტულ კრიტერიუმს, რაზეც შეიძლება უზენაესმა სასამართლომ დაამყაროს „რწმენა“, იყო თუ არა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება განსხვავებული იმ შემთხვევებისაგან, რომლებიც მოიცავდა ანალოგიურ ან არსებითად მსგავს ფაქტებს. ასევე, არ არის ნათელი ცვლილებების პროექტის ის დებულებები, რომლებიც ეხება იმას, თუ რომელი ორგანო არის კომპეტენტური საქმის წინასწარი დასაშვებობის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაზე (პლენარული, კოლეგიური შემადგენლობა თუ მომხსენებელი მოსამართლე?). აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ პასუხი კითხვაზე – არის თუ არა საკასაციო საჩივარი დასაშვები, შესაბამისი კრიტერიუმის არარსებობის პირობებში, ძირითადად, დამოკიდებული იქნება მოსამართლის ან მოსამართლეთა პირად შეხედულებებზე. აღნიშნულმა კი შეიძლება გამოიწვიოს დასაშვებობის კრიტერიუმის არათანმიმდევრული გამოყენება და, შესაბამისად, შეიძლება საფრთხე შეუქმნას გასაჩივრების სამართალწარმოებაში მოთხოვნილ სამართლებრივ განსაზღვრულობას<sup>24</sup>.

30. სხვა მხრივ, თუ უზენაესი სასამართლო დებულების „ა“ ქვეპუნქტს წაიკითხავს სიტყვასიტყვით, შეიძლება საფრთხე შეექმნას პრეცედენტული სამართლის ხარისხს. დებულება საშუალებას აძლევს უზენაეს სასამართლოს, დაუშვებლად ცნოს საკასაციო საჩივარი (საქმის მასალების განხილვის გარეშე) მხოლოდ იმ საფუძველით, რომ მან უკვე, თუნდაც ერთხელ, განიხილა მსგავსი საქმე. მხედველობაში რომც არ მივიღოთ „ანალოგიური ან არსებითად მსგავსი ფაქტები“, ეს ნიშნავს იმას, რომ უზენაესი

<sup>22</sup> საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ცვლილების შესახებ საქართველოს კანონის პროექტის მუხლი 1(3)(ა); საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილების შესახებ საქართველოს კანონის პროექტის მუხლი 1(1)(ბ); საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილების შესახებ საქართველოს კანონის პროექტის მუხლი 1(1)(ბ).

<sup>23</sup> 2014 წლის 1 ივლისს, თბილისში, ვენეციის კომისიისა და დირექტორატის დელეგაციასთან ერთად გამართული შეხვედრის მიმდინარეობისას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლოს სამომავლო პრეცედენტულმა სამართალმა სიცხადე უნდა შესძინოს დასაშვებობის კრიტერიუმის ბუნდოვან ფორმულირებას.

<sup>24</sup> იხილეთ, ჰაჯიივი აზერბაიჯანის წინააღმდეგ, § 41.

სასამართლო ვერ შეძლებს პრეცედენტული სამართლის ხარისხის გაუმჯობესებას დაუშვებლობის ამ ახალი კრიტერიუმის გამო, რომელიც „გააქვავებს“ უზენაესი სასამართლოს ნებისმიერ წინათ არსებულ შეხედულებას. მართალია, რომ დასაშვებობის კრიტერიუმი დებულების „ბ“ ქვეპუნქტით შეიძლება გახდეს დამცველი მექანიზმი, მაგრამ მისი ეფექტიანობა დამოკიდებული იქნება თანმიმდევრულ ინტერპრეტაციაზე და პრეცედენტული სამართლის შესაძლებლობაზე, მოახდინოს იმ კრიტერიუმის იდენტიფიცირება, რომელზე დაყრდნობითაც უზენაესი სასამართლო დააფუძნებს საკუთარ „რწმენას“ ამ დებულების შესაბამისად (იხილე, § 29).

31. ვენეციის კომისია და დირექტორატი ხაზს უსვამენ, რომ ზემოხსენებული დებულებები („ა“ და „ბ“) არ ეწინააღმდეგება ევროპულ სტანდარტებს და შესაბამისობის უზრუნველყოფის მთავარი ტვირთი დაეკისრება უზენაესი სასამართლოს სამომავლო პრაქტიკას. აღნიშნული დებულებების ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული სასამართლოს პრაქტიკა გაჰყვება თუ არა საერთო ევროპულ სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრულია ECtHR-ის ზემოხსენებულ პრეცედენტულ სამართალსა და მინისტრთა კომიტეტის R(95)5 რეკომენდაციაში; თუ მოხდება მისი ძალიან შეზღუდულად, პირდაპირი მნიშვნელობით გაგება, ეს გამოიწვევს სამართლიანი სასამართლოს უფლების, კერძოდ, ECHR-ის მე-6 მუხლით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლების დარღვევას.

## **2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული საქმეებისაგან, რომლებიც შეიცავდა ანალოგიურ ან არსებითად მსგავს ფაქტებს<sup>25</sup>**

32. ცნება „მსგავსი კატეგორიის საქმეები“ მოქმედი დებულების ვერსიაში<sup>26</sup>, როგორც ჩანს, ნაკლებად ბუნდოვანია, ვიდრე ცვლილებების პროექტით გათვალისწინებული დებულება – „საქმეები, რომლებიც ანალოგიურია ან შეიცავს არსებითად მსგავს ფაქტებს“. ასევე, მოქმედ დებულებებში „არსებულ პრაქტიკაზე“ მითითება არის უფრო მისაღები დასაშვებობისათვის, ვიდრე შემოთავაზებული – „ბოლო გადაწყვეტილება“ რადგან იგი ეხება ზოგადად მანამდე არსებულ პრეცედენტულ სამართალს, არაერთ რომელიმე (უკანასკნელ) გადაწყვეტილებას ან განჩინებას, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა სასამართლოში, უზენაესი სასამართლოს ჩათვლით, არსებობს გარკვეული

<sup>25</sup> საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ცვლილების შესახებ საქართველოს კანონის პროექტის მუხლი 1(3)(ბ); საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილების შესახებ საქართველოს კანონის პროექტის მუხლი 1(1)(ბ) 5 „ბ“; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილების შესახებ საქართველოს კანონის პროექტის მუხლი 1(1)(ბ) 3 „ბ“.

<sup>26</sup> „სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება იმავე კატეგორიის საქმეებზე უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისაგან.“

დონის სხვაობა გადაწყვეტილებებს შორის, ვინაიდან მათი მიღება ხდება მოსამართლეთა განსხვავებული შემადგენლობების მიერ.

33. საკასაციო პროცედურის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, უზრუნველყოს და ჩამოაყალიბოს ერთიანი პრეცედენტული სამართალი. ქვედა ინსტანციის სასამართლოებს ყოველთვის შეუძლიათ სცადონ, გამოვიდნენ პრეცედენტულ სამართალში ცვლილების შეტანის ინიციატივით და მოუწოდონ უზენაეს სასამართლოს, გადახედოს საკუთარ მოსაზრებას. ასეთ შემთხვევებში უზენაესმა სასამართლომ უნდა შეიტანოს სიცხადე მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში. შიდა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა არ გამორიცხავს დოქტრინების არსებობას, როგორც ეს დამკვიდრებულია საერთო სამართლის ქვეყნებში (ანუ, ქვედა ინსტანციის მოსამართლის ვალდებულება, მიჰყვეს ზემდგომი სასამართლოს მიერ მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებას სამართლის იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც პირდაპირ წარმოიშვება შემდეგ საქმეში)<sup>27</sup> და, რა თქმა უნდა, სამოქალაქო სამართლის ქვეყნებშიც ქვედგომი ინსტანციის სასამართლოები მიჰყვებიან იმ პრინციპებს, რომლებიც დამკვიდრებულია უმაღლესი სასამართლოების მიერ, რათა თავიდან იქნეს აცილებული გასაჩივრებისას მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმება.<sup>28</sup> ამიტომ, აღნიშნული კრიტერიუმის არსებობა გავლენას არ მოახდენს სააპელაციო სასამართლოს შიდა სამართლებრივ დამოუკიდებლობაზე.

34. თუმცა, აღნიშნული დასაშვებობის კრიტერიუმი არ უნდა იქნეს გამოყენებული იმ მიზნის მიღმა, რომლისთვისაც იგი დაწესებულია, ანუ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პრეცედენტული სამართლის ერთგვაროვნება და არ უნდა იქნეს იმგვარად გამოყენებული, რომ უზენაეს სასამართლოს მისცეს შესაძლებლობა, მიუთითოს კანონმდებლობის გამოყენების შესახებ ქვედა ინსტანციის სასამართლოების ზოგად „რეკომენდაციებზე/განმარტებებზე“.<sup>29</sup> ვენეციის კომისია და დირექტორატი მიიჩნევენ, რომ უზენაესი სასამართლოს ან სხვა უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებული სახელმძღვანელო პრინციპების პრაქტიკა, რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა ქვედა ინსტანციის სასამართლოსათვის და მიღებულია ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, პრობლემურია აღნიშნული კუთხით<sup>30</sup>. მაშინ, როცა უზენაეს სასამართლოს

<sup>27</sup> იხილე, მოხსენება სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ, ნაწილი I: მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, მიღებული ვენეციის კომისიის მიერ 82-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 2010 წლის 12-13 მარტი) (CDL-AD(2010)004), § 69.

<sup>28</sup> იქვე, § 71.

<sup>29</sup> იხილე, უკრაინის კონტექსტში, CDL-INF(2000)5, მოსაზრება სამართლებრივი სისტემის შესახებ უკრაინის კანონის პროექტის თაობაზე, „ზოგადი კომენტარები“, „სასამართლოთა მკაცრად იერარქიული სისტემის დამკვიდრება“, § 2.

<sup>30</sup> იხილე, CDL-INF(1997)06, ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის (აზერბაიჯანის რესპუბლიკა) კონსტიტუციის პროექტის შესახებ მოსაზრება, თავი 6, CDL-INF(2000)5.

უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, შეცვალოს ან გააუქმოს ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, მას არ უნდა უწევდეს მეთვალყურეობას<sup>31</sup>.

35. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებამ შეიძლება განიხილოს დასაშვებობის კრიტერიუმის მოქმედი ვერსიის შენარჩუნება. ნებისმიერ შემთხვევაში, მომავალი პრაქტიკა და დებულებების ინტერპრეტაცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ უნდა ითვალისწინებდეს სასამართლოს ქვედა ინსტანციების დამოუკიდებლობას, რაც, თავის მხრივ, გადაამწყვეტ როლს შეასრულებს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში.

### **3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტს, რომელშიც მონაწილე მხარე საქართველო იყო<sup>32</sup>**

36. ვენეციის კომისია და დირექტორატი მიესალმებიან ცვლილებების პროექტს, რომელიც არის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების შიდა სამართლებრივ წესრიგში ეფექტური იმპლემენტაციის თვალსაზრისით.

37. აღნიშნულთან დაკავშირებით ვენეციის კომისია და დირექტორატი ადგენენ, რომ ევროპული კონვენციის სუბსიდიური ბუნებიდან გამომდინარე, რაც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემის მნიშვნელოვანი ასპექტია, კონვენციურმა მექანიზმა შეიძლება იმოქმედოს ეფექტიანად, რაციონალურად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სახელისუფლებო ორგანოები და სასამართლოები შიდა დონეზე დაიცავენ კონვენციის სტანდარტებს. პირველ რიგში, ეს პრინციპი მოითხოვს, რომ ხელისუფლებამ გადაამოწმოს საკუთარი შიდა სამართლისა და პრაქტიკის შესაბამისობა კონვენციაში არსებულ სტანდარტებთან, როგორც მათ ECtHR განმარტავს<sup>33</sup>.

38. უმაღლეს სასამართლოებს აქვთ მნიშვნელოვანი როლი ქვედა ინსტანციების სასამართლოების წახალისებისა და ხელის შეწყობის კუთხით, რათა მათ მოახდინონ კონვენციისა და ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება შიდა კანონმდებლობაში. თუმცა ეს არ მოითხოვს მხოლოდ ხელისუფლებისა

<sup>31</sup> CDL-INF(1997)06, იქვე, იხილე, ასევე, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ ანგარიში, ნაწილი I, §§ 70-71

<sup>32</sup> საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ცვლილების შესახებ საქართველოს კანონის პროექტის მუხლი 1(3)(დ); საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილების შესახებ საქართველოს კანონის პროექტის მუხლი 1(1)(ბ) 5 „დ“; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილების შესახებ საქართველოს კანონის პროექტის მუხლი 1(1)(ბ) 3 „დ“.

<sup>33</sup> იხილე, მაგალითად, ბელგიის ლინგვისტური საქმე, 1968 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება, § 10; ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, № 5493/72, 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება, § 48.

და სასამართლოების მხრიდან ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებების გათვალისწინებას, რომლებიც მათ მიმართ იქნა მიღებული, არამედ მოიცავს სხვა ქვეყნების მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების მხედველობაში მიღებას. ვენეციის კომისია და დირექტორატი მიუთითებენ, რომ სახელმწიფოებმა გამოაცხადეს მზადყოფნა, ინტერლაკენის დეკლარაციასთან ერთად <sup>34</sup> მხედველობაში მიიღონ სასამართლოს განვითარებადი პრეცედენტული სამართალი და ასევე გაითვალისწინონ სხვა სახელმწიფოში კონვენციის დარღვევის თაობაზე მიღებული იმ გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე დასკვნები, სადაც საკუთარი სამართლებრივი სისტემის მსგავსი პრინციპის პრობლემა არსებობს. შესაბამისად, დეკლარაცია ადასტურებს სასამართლო გადაწყვეტილებების *erga omnes* ძალას.

39. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მინისტრთა კომიტეტის მიერ 2013 წლის 2 ოქტომბერს მიღებული კონვენციის N16 ოქმი, რომელსაც საქართველომ ხელი 2014 წლის 19 ივნისს მოაწერა, საშუალებას აძლევს უმაღლეს სასამართლოებს და მაღალი ხელშემკვრელი მხარეების ტრიბუნალებს, მიმართონ ევროპულ სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის თაობაზე, რომელიც შეეხება ინტერპრეტაციასთან დაკავშირებულ პრინციპს ან კონვენციითა და ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენებას, მიუხედავად იმისა, საქმე შეეხება კონკრეტულ თუ სხვა სახელმწიფოს.

40. ამასთანავე, ECtHR-ის პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარეობს, რომ ECtHR-ის მიერ ECHR-ის დებულებების ინტერპრეტაცია და გამოყენება წარმოადგენს შესაბამისი უფლებებისა და თავისუფლებების შემადგენელ ნაწილს<sup>35</sup> და უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ეროვნული სახელისუფლებო ორგანოების მიერ მათი ინტერპრეტაციისა და გამოყენებისას. ვენეციის კომისიისა და დირექტორატის თბილისში ვიზიტის დროს უზენაესი სასამართლოს თავჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრაქტიკაში უზენაესი სასამართლო არა მხოლოდ საქართველოსთან მიმართებაში არსებულ ევროპული სასამართლოს საქმეებს იყენებს, არამედ სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოების საქმეებსაც. ვენეციის კომისია და დირექტორატი მიესალმებიან ამ ინფორმაციას და იმავდროულად მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია საქებარი პრაქტიკა ნათლად აისახოს სამართლებრივ დებულებებში.

<sup>34</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის შვედეთის თავმჯდომარეობის ინიციატივის გამართული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მომავლის უმაღლესი დონის კონფერენცია (ინტერლაკენი, 2010 წლის 18-19 თებერვალი). აღნიშნულთან დაკავშირებით იხილე ასევე ბრაიტონისა (2010 წლის 19-20 აპრილი) და იზმირის (2011 წლის 26-27 აპრილი) უმაღლესი დონის კონფერენციის დეკლარაციები.

<sup>35</sup> იხილე, მაგალითად, ECtHR, ჰაზულინევი და ფილიპოვიჩი ხორვატიის წინააღმდეგ, № 51166/10, 2013 წლის 4 ივნისის დასაშვებობის შესახებ განჩინება, § 30.

41. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასაშვებობის კრიტერიუმი, რომლის მიზანია – არ მოხდეს ECtHR-ის პრეცედენტული სამართლიდან გადახვევა, არ უნდა შეიზღუდოს იმ საქმეთა პრეცედენტებით, „რომელთა მხარე საქართველო იყო“. კონვენციის მიერ დადგენილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია ევროპული სასამართლოს მიერ არის ზოგადი ხასიათის და უნდა იყოს დაცული ევროპის საბჭოს ყველა წევრის მიერ. შესაბამისად, ვენეციის კომისია და დირექტორატი რეკომენდაციას უწევს საქართველოს, რომ აღნიშნული დებულებების პროექტი მიღებულ იქნეს ისეთი ფორმით, რომლის მიხედვითაც უზენაეს სასამართლოს დაევალება, მხედველობაში მიიღოს არა მხოლოდ საქართველოს მიმართებაში გამოტანილი გადაწყვეტილებები, არამედ მთლიანად ECHR-ის პრეცედენტული სამართალი.

42. დაბოლოს, ინგლისურენოვან თარგმანში არსებული მითითებები ევროპული სასამართლოს განჩინებებზე არის ძალიან ვიწრო იმდენად, რამდენადაც მნიშვნელოვან საკითხებზე მთავარი პრეცედენტული სამართალი ასახულია არა განჩინებებში (მაგალითად, დასაშვებობის განჩინებები), არამედ გადაწყვეტილებებში. შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა მოცემული დებულებების პროექტში ტერმინი „განჩინებები“ ჩანაცვლებულიყო „პრეცედენტული სამართალით“<sup>36</sup>. თუმცა, შეიძლება ეს, ასევე, თარგმანთან იყოს დაკავშირებული.

## **B. საკასაციო საჩივრების დასაშვებობის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს შესახებ არსებული დებულებების ბუნდოვანება**

43. როგორც ზემოთ აღნიშნა, საკასაციო საჩივრების დასაშვებობის ფართო და ბუნდოვანი კრიტერიუმი (წარმოდგენილი დასკვნის „ა“ ნაწილი) კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის, რომ ორგანო, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება – დაკმაყოფილებულია თუ არა დასაშვებობის კრიტერიუმი, ნათლად იყოს გაწერილი კანონმდებლობაში. იმავე მიზნისთვის, ასევე, მეტად მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილება იყოს კარგად დასაბუთებული იმ საფუძვლებით, რომლის მიხედვითაც საჩივარი დაუშვებლად გამოცხადდა (ნაწილი C).

44. იმ ხერხის გათვალისწინებით, რომლის გამოყენებითაც დებულებების პროექტში ფორმულირებულია დასაშვებობის პირობები, ნათელია, რომ ხშირ შემთხვევაში დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილება მოითხოვს საქმის უფრო ყოველმხრივ წინასწარ გამოძიებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის პროექტისაგან და

<sup>36</sup>2014 წლის 30 ივნისსა და 1 ივლისს თბილისში გამართული შეხვედრისას, სახელისუფლებო ორგანოებმა დაარწმუნეს ვენეციის კომისიისა და დირექტორატის დელეგაცია, რომ დებულების პროექტში არსებული სიტყვა „განჩინებაში“ იგულისხმება არა ECtHR-ის დასაშვებობის შესახებ განჩინებები, არამედ სასამართლოს მთელი პრეცედენტული სამართალი.



სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის ახალი 3<sup>1</sup>-3<sup>2</sup> ნაწილების პროექტებისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი არ შეიცავს ამასთან დაკავშირებულ დებულებას. შესაძლებელია, რომ აღნიშნული საკითხები გათვალისწინებულია სხვა ადგილას კოდექსში, თუმცა ამ შემთხვევაში მითითება იქნებოდა მიზანშეწონილი.

45. რაც შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებების პროექტს, იმ ორგანოსთან დაკავშირებული დებულებები, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს წინასწარი განხილვა და მიიღოს გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ, არ არის საკმარისად ცხადი. ინიცირებული 396-ე მუხლის მე-4 ნაწილი ახსენებს მომხსენებელი მოსამართლის მიერ განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას მაშინ, როცა ინიცირებული 401-ე მუხლის პირველ ნაწილში საუბრობს საკასაციო სასამართლოს განხილვასა და გადაწყვეტილებაზე. შემდეგ, 401-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს მოსამართლეთა შემადგენლობის მიერ განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას და არ ახსენებს მათ რაოდენობას, შემადგენლობას და განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესს. შეიძლება უკეთესია, რომ 396-ე მუხლის მე-4 ნაწილი მიუთითებს დასაშვებობის სხვა კრიტერიუმზე, 401-ე მუხლისგან განსხვავებით, თუმცა ასეთ შემთხვევაში, არ არის ნათელი, თუ რატომ არ არის მინდობილი ერთსა და იმავე ინსტანციაზე ორი ტიპის განხილვა. თუ ორი ნაწილი არ მიუთითებს დასაშვებობის განსხვავებულ მოთხოვნებზე, 396-ე მუხლის მე-4 ნაწილში მომხსენებელ მოსამართლესთან მიმართებით არსებული სიტყვები „უნდა გადაწყვიტოს“, როგორც ჩანს, არასწორია იმდენად, რამდენადაც 401-ე მუხლი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას ანიჭებს სასამართლოს (პირველი ნაწილი) ან სასამართლოს შემადგენლობას (მეორე ნაწილი).

46. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებების პროექტის 3<sup>1</sup> ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ დასაშვებობას განიხილავს საკასაციო სასამართლო, თუმცა არ არის მითითებული, განიხილავს პლენარული თუ კოლეგიური შემადგენლობა, და ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ხსენებული კოლეგიური შემადგენლობა როგორ იქნა შერჩეული და რა შემადგენლობით.

47. ვენეციის კომისია და დირექტორატი იძლევიან რეკომენდაციას, რომ თუ შესაბამისი საპროცესო კოდექსების სხვა დებულებებშიც ნათლად არ არის მითითებული კომპეტენტური ორგანოები, ცვლილებების პროექტი ხელახლა უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ ნათლად განისაზღვროს კომპეტენტური ორგანო, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს დასაშვებობის საკითხი, და იმ შემთხვევაში, თუ ეს უფლებამოსილება ეკუთვნის საკასაციო სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობას, ჩაიწეროს მითითებები მისი შემადგენლობისა და წევრების შერჩევის შესახებ.

### C. დაუშვებლობის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება

48. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებების შესახებ კანონის პროექტის 3<sup>3</sup> მუხლი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებების შესახებ კანონის პროექტის 401-ე (3) მუხლი ადგენს, რომ „ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლო საკასაციო საჩივარს დაუშვებლად ცნობს, უნდა იყოს დასაბუთებული. გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს ახსნას, თუ რატომ მოხდა დასაშვებობის შესახებ მომჩივნის არგუმენტების უარყოფა.“ ვენეციის კომისია და დირექტორატი მიესალმებიან ამ ახალ დებულებას და მხედველობაში იღებენ იმ ფაქტს, რომ სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნა, ECHR-ის მე-6 მუხლის გაგებით, ასევე მოითხოვს, რომ შიდა სასამართლოებმა საკმარისი სიცხადით მიუთითონ იმ საფუძვლებზე, რომლებზე დაყრდნობითაც მიიღეს გადაწყვეტილება<sup>37</sup>. როგორც ზემოთ აღნიშნა, საკასაციო საჩივრებისათვის დასაშვებობის კრიტერიუმის ბუნდოვანება (წარმოდგენილი დასკვნის „ა“ ნაწილი) კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის, რომ გადაწყვეტილებები საკმარისად იყოს დასაბუთებული იმ საფუძვლებით, რომელთა გამოყენებითაც საჩივარი გამოცხადდა დაუშვებლად.

49. თუმცა, თბილისში გამართული შეხვედრებიდან ჩანს, რომ მითითებული ცვლილება ყველაზე საკამათოა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისათვის, რომლებიც აღნიშნულ დებულებას აღიქვამდნენ, როგორც მანამდე არსებული სისტემის დაბრუნებას, როდესაც საკასაციო საჩივრების დაუშვებლობის შესახებ ყოველი გადაწყვეტილება მოიცავდა 6-დან 8 გვერდამდე დასაბუთებას, რაც მოსამართლეებისათვის წარმოდგენდა სამუშაოს მნიშვნელოვან მოცულობას და განსახილველი საქმეების დაგროვებას.

50. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიისა და დირექტორატის შეხედულებით, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს ნებისმიერი განჩინებისა თუ გადაწყვეტილების დასაბუთება მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ჩამოყალიბებაში, არ არის აუცილებელი დიდი და დეტალური დასაბუთების წარდგენა ყველა შემთხვევაში და სასამართლოს ყოველ გადაწყვეტილებაში. ზოგიერთ შემთხვევაში, მათ შორის, დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილებებში, შემცირებული დასაბუთება საკმარისი იქნება. ECtHR საკუთარ პრეცედენტულ სამართალში მიიჩნევს, რომ „კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი სასამართლოებს ავალდებულებს, წარმოდგინონ საკუთარი გადაწყვეტილებების მიზეზები, თუმცა არ შეიძლება გაგებული იქნეს იმგვარად, თითქოს მოითხოვს ყველა არგუმენტზე დეტალურ პასუხს. აღნიშნული ვალდებულების მოცულობა შეიძლება

<sup>37</sup> იხილეთ, მაგალითად, ECtHR ნაჯიანასტასიოუ საბერძნეთის წინააღმდეგ, № 12945/87, 1992 წლის 16 დეკემბერი, § 33.

განსხვავდებოდეს გადაწყვეტილების ბუნებიდან გამომდინარე. (...) [კერძოდ] როდესაც უზენაესი სასამართლო უარს ამბობს საქმის მიღებაზე იმის გამო, რომ ამგვარი საქმის სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს, ძალიან მცირე დასაბუთებამაც კი შეიძლება დააკმაყოფილოს კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნები. მითითებული პრინციპი ვრცელდება გასაჩივრების ნებართვის შესახებ განაცხადების მიმართ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებზეც“<sup>38</sup>. ანალოგიურად, საქმეში „სავონიუკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“<sup>39</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრების ნებართვის შესახებ განაცხადების შემთხვევაში, რომელიც არის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში სარჩელების განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, თითქოს მოითხოვდეს, რომ ნებართვაზე უარის თქმა საჭიროებს დეტალური მიზეზების წარდგენას. ასევე, სასამართლომ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მომჩივნის სააპელაციო საჩივარი ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო სასამართლომ, მიღებული იქნა მოცულობითი გადაწყვეტილება და სასამართლომ არ მიიჩნია, რომ ლორდთა სახლის მიერ გასაჩივრების ნებართვაზე უარი კონკრეტული მიზეზების მითითების გარეშე არღვევდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს<sup>40</sup>.

51. ამდენად, ვენეციის კომისიისა და დირექტორატის შეხედულებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის 3<sup>3</sup> ნაწილის ინიცირებული ფორმულირება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ინიცირებული 401-ე მუხლის მე-3 ნაწილი არ უნდა ნიშნავდეს, რომ დასაბუთება უნდა იყოს მოცულობითი და სიღრმისეული. დასაბუთება, რომელიც შემცირებულია იმ მიზეზების წარმოჩენით, თუ რატომ მიიჩნევს სასამართლო საკასაციო საჩივარს დაუშვებლად და რატომ არ იზიარებს მომჩივნის შეხედულებას, საკმარისი უნდა იყოს. მაშინ, როცა საქართველოს კანონმდებლობამ დასაშვებობის შესახებ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთებასთან დაკავშირებით შეიძლება დააწესოს უფრო მაღალი სტანდარტები, ვიდრე ევროპულმა კონვენციამ და ECtHR-ის პრეცედენტულმა სამართალმა, ამას შედეგად არ უნდა მოჰყვეს მოსამართლეთა სამუშაოს მოცულობის გადამეტებული ზრდა და დასაშვებობის ეტაპზე სამართალწარმოების გახანგრძლივება.

<sup>38</sup>ECtHR, ვნუკი პოლონეთის წინააღმდეგ, № 38308/05, 2009 წლის 1 სექტემბრის განჩინება დასაშვებობის შესახებ. იხილე ასევე ECtHR, ჰელე ფინეთის წინააღმდეგ, № 20772/92, 1997 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება; ნერვა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, № 42295/98, 2000 წლის 11 ივლისის განჩინება დასაშვებობის შესახებ.

<sup>39</sup>ECtHR, სავონიუკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, № 63716/00, 2001 წლის 29 მაისის განჩინება დასაშვებობის შესახებ.

<sup>40</sup> იხილე, ასევე, ნერვა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (განჩინება), № 42295/98, 2000 წლის 11 ივლისი.

## D. სხვა საკითხები

### ზეპირი მოსმენა

52. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებების პროექტის 396-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 401-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებების პროექტის 3<sup>2</sup> ქვეპუნქტის თანახმად, დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიღებული იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე<sup>41</sup>. იმდენად, რამდენადაც გასაჩივრების ნებართვის შესახებ სამართალწარმოებაში დასაშვებობის განხილვისას ნეგატიური გადაწყვეტილება შეიძლება ეფუძნებოდეს საჩივრის აშკარად დაუსაბუთებელ ბუნებას, გასაჩივრების ნებართვის შესახებ სამართალწარმოება შეიძლება, ფაქტობრივად, მოიცავდეს „სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრას“ ან „სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას“ და ასეთ შემთხვევაში მე-6 მუხლი გამოიყენება ყველა მოთხოვნით<sup>42</sup>. ამ შემთხვევაში ზეპირი მოსმენის არარსებობა შეიძლება პრობლემური იყოს ECHR-ის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს კონცეფციის თვალსაზრისით (იხილე ზემოთ, § 17).

53. თუმცა, ზოგადად, საქმეებში, რომლებზეც პირველ ინსტანციაში ჩატარდა ზეპირი მოსმენა, აპელაციის სამართალწარმოებაში არ არსებობს ზეპირი მოსმენის აბსოლუტური უფლება. საქმეში „ჰერმი იტალიის წინააღმდეგ“<sup>43</sup> ECtHR-მა მიიჩნია, რომ ზეპირი მოსმენის აუცილებლობა „დამოკიდებულია შესაბამისი სამართალწარმოების კონკრეტულ მახასიათებლებზე; მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შიდა სამართლებრივ წესრიგში სამართალწარმოების ერთიანობა და მასში სააპელაციო სასამართლოს მნიშვნელობა.“ როდესაც შესაბამისი სააპელაციო სამართალწარმოება მხოლოდ კანონის საკითხებს ეხება, ზეპირი მოსმენა, ზოგადად, არ მოითხოვება<sup>44</sup>. რაც შეეხება უფრო კონკრეტულად გასაჩივრების ნებართვის სამართალწარმოებას, ECtHR-მა საქმეში „მონელი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ მიიჩნია, რომ გასაჩივრების ნებართვის მიცემის ან უარის თქმის საკითხის შეზღუდული ბუნება, თავის მხრივ, არ მოითხოვს საჯარო განხილვაზე ზეპირ არგუმენტს ან სააპელაციო სასამართლოში პირადად წარმოდგენას<sup>45</sup>; კრიტერიუმი მდგომარეობს შემდეგში –

<sup>41</sup> ინიცირებული პროექტის დებულებებით არ ხდება რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება უკვე არსებულ დებულებებში, თუმცა უმჯობესდება მათი ფორმულირება.

<sup>42</sup> პიტერ ვან დეიკი, გვ. 566.

<sup>43</sup> დიდი პალატის 2006 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

<sup>44</sup> ECtHR, აქსენი გერმანიის წინააღმდეგ, № 8273/78, 1983 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება, § 32.

<sup>45</sup> ECtHR, მონელი და მორისი გაერთიანებული ერების წინააღმდეგ, № № 9562/81, 9818/82, 1987 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება, § 58. იხილე, ასევე, დ.ჯ. ჰარისი, მ. ობოილი, ე.პ. ბეიტსი, ს.მ. ბაქლი, გვ.275.

„სააპელაციო საჩივარში წამოწეულია თუ არა ფაქტის ან სამართლის რაიმე საკითხი, რომელიც ადეკვატურად ვერ გადაწყდება საქმის მასალის საფუძველზე“<sup>46</sup>.

54. შედეგად, ის ფაქტი, რომელიც გათვალისწინებულია ცვლილებების პროექტით და რომლის მიხედვითაც დასაშვებობის განხილვა შეიძლება განხორციელდეს ზეპირი მოსმენის გარეშე, როგორც ასეთი, არ არღვევს ECHR-ის მე-6 მუხლში არსებულ სამართლიანი სასამართლოს კონცეფციას, თუ დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილება, თავის მხრივ, არ მოიცავს „განსაზღვრას“ აღნიშნული მუხლის მნიშვნელობით და იმ პირობების საფუძველზე, რომელსაც ადგენს ECtHR-ის ზემოხსენებული პრეცედენტული სამართალი<sup>47</sup>. თუმცა, ზეპირი მოსმენის არარსებობა საჩივრის დაუშვებლობის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებას უფრო მნიშვნელოვანს ხდის (წარმოდგენილი დასკვნის „C“ ნაწილი).

#### არასრულწლოვნები

55. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-3 (ე) ნაწილით არასრულწლოვანთა საქმეების სასარგებლოდ გათვალისწინებული სააპელაციო საჩივრები მიუხედავად იმისა, რომ აყალიბებს უთანასწორო მოპყრობას, არ წარმოადგენს დისკრიმინაციას, ვინაიდან აშკარად არსებობს ობიექტური და გონივრული საფუძველი მოპყრობაში ამგვარი განსხვავებისათვის. ვენეციის კომისია და დირექტორატი მიესალმებიან აღნიშნულ ცვლილებას იმდენად, რამდენადაც საკასაციო საჩივრის დაშვება იმ საქმეებში, რომლებიც არასრულწლოვანთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებს ეხება, აძლიერებს არასრულწლოვანთა უფლებების გარანტიებს.

#### V. დასკვნა

56. ვენეციის კომისია და დირექტორატი მიესალმებიან საქართველოს სახელისუფლებო ორგანოების მცდელობებს, გააუმჯობესონ საკასაციო საჩივრების სისტემა დასაშვებობის კრიტერიუმის გაფართოებითა და დახვეწით. ისინი მიიჩნევენ, რომ თანასწორად და კარგად დასაბუთებულად გამოყენების შემთხვევაში, საქართველოს ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ცვლილებების პროექტში გათვალისწინებული საკასაციო საჩივრების დასაშვებობის კრიტერიუმი *in abstracto* პასუხობს პროპორციულობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნებს. განსაკუთრებით მისასალმებელია ის, რომ ცვლილებების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი არის შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებების ECtHR-ის პრეცედენტულ სამართალთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

<sup>46</sup> იხილეთ, ECtHR, იან-აკე ანდერსონი შვედეთის წინააღმდეგ, № 11274/84, 1991 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება, § 29.

<sup>47</sup> მონელი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.

57. თუმცა, ვენეციის კომისია და დირექტორატი მიიჩნევენ, რომ დამატებითი სრულყოფაა საჭირო შემდეგი მიმართულებებით:

- დასაშვებობის კრიტერიუმის ბუნდოვანი ფორმულირება და მასში ცალკეული ცნებების ორაზროვნება: მნიშვნელოვანია, რომ მომავალ პრეცედენტულ სამართალში, უზენაესი სასამართლო შეეხოს აღნიშნულ ორაზროვნებას და ნათელჰყოს ისინი თანამიმდევრული და ანტიდისკრიმინაციული სამოსამართლო ინტერპრეტაციის საფუძველზე, რათა მომჩივნებისათვის უზრუნველყოფილი იყოს ნათელი და ეფექტიანი ხელმისაწვდომობა სასამართლო გადახედვის მესამე დონეზე;

- დასაშვებობის კრიტერიუმი, რომელიც შეეხება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისობას ECtHR-ის იმ პრეცედენტულ გადაწყვეტილებებთან, რომელთა მხარეც საქართველო იყო: შესაბამისი დებულებები ხელახლა უნდა ჩამოყალიბდეს, რათა მოიცვას ECtHR-ის მთელი პრეცედენტული სამართალი, მათ შორის, საქმეები, რომლებიც ხელშემკვრელ სხვა სახელმწიფოებს ეხება;

- ორგანო, რომელიც ახორციელებს საკასაციო საჩივრის წინასწარ განხილვას და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას დასაშვებობის შესახებ, ნათლად უნდა განისაზღვროს. იმ შემთხვევაში, როცა აღნიშნულ ორგანოს წარმოადგენს უზენაესი სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა, კანონი ნათლად უნდა განსაზღვრავდეს მის შემადგენლობას და მისი წევრების არჩევის პროცედურას.

58. ვენეციის კომისია და დირექტორატი რჩებიან საქართველოს ხელისუფლების განკარგულებაში, რათა გაუწიონ დახმარება ამ და სხვა სფეროებში.